„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელებისა და დასაქმებულთა ატესტაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის“ 2016 წლის 23 სექტემბრის N652/22 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელებისა და კომისიის აპარატში დასაქმებულთა ატესტაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის“ 2016 წლის 23 სექტემბრის N652/22 გადაწყვეტილებით დამტკიცდა დანართი 1 სსიპ “საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიის აპარატში დასაქმებულთა ატესტაციის წესი“ (შემგომში „ატესტაციის წესი“).

აღნიშნულ ატესტაციის წესში შესატანია შემდეგი ცვლილებები:

1. დასაქმებულთა ატესტაციის პროცესში მიღებული შედეგების სრულყოფილად შეჯამებისთვის აუცილებელია ტექნიკური ხარვეზის შესწორება.

ატესტაციის მეორე ეტაპის, გასაუბრების შეფასების სკალა შეიცვალა და ნაცვლად შემოთავაზებული 0-4 დიაპაზონისა, გახდა 1-5 დიაპაზონი. შეიცვალა გასაუბრების ეტაპის მინიმალური და მაქსიმალური ქულებიც. აღნიშნულიდან გამომდინარე, ატესტაციის წესის III თავის მე-2 მუხლის „ე“ პუნქტის ცხრილ 1-ში, სადაც მითითებულია ატესტაციის ეტაპების მაქსიმალური ქულა, დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი, შესაცვლელია მეორე ეტაპის მაქსიმალური ქულა, როგორც მენეჯერული ისე არამენეჯერული პოზიციისათვის. მენეჯერული პოზციისათვის მაქსიმალური ქულა ახალი სკალის გათვალისწინებით არის 50, ხოლო არამენეჯერული პოზიციისათვის - 40 ქულა.

შესაბამისად, „ცხრილი 1: ატესტაციის ეტაპების მაქსიმალური ქულა“ უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

<u>ცხრილი 1: ატესტაციის ეტაპების მაქსიმალური ქულა</u>

პოზიცია	ატესტაციის პირველი ეტაპის მაქს. ქულა (x)	ატესტაციის მეორე ეტაპის მაქს. ქულა (y)
მენეჯერული პოზიცია	35	50
არამენეჯერული პოზიცია	79 ან 82	40

2. ატესტაციის წესის II თავის, მე-5 მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად, შესაძლებელია დასაქმებულის მიერ ატესტაციის გავლის შესახებ უარის თქმა ატესტაციის პირველ ეტაპამდე (ტესტირება) (3) კვირით ადრე.

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, შეიცვალოს აღნიშნული ვადა, და ნაცვლად 3 კვირისა, ატესტაციის გავლაზე უარის თქმის ვადა განისაზღვროს 10 კალენდარული დღით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ცვლილება უნდა შევიდეს ატესტაციის წესის III თავის, მე-3 მუხლის, 3.1. პუნქტის, 3.1.2. „ე“ ქვეპუნქტშიც. ამ ქვეპუნქტით განისაზღვრება სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების უფლებამოსილება, დაინტერესების შემთხვევაში, მენეჯერულ ტესტთან ერთად ჩააბარონ ზოგადი უნარების ტესტი კომისიის თავმჯდომარისთვის აღნიშნულის თაობაზე ტესტირებამდე 3 კვირით ადრე წერილობითი განცხადებით მიმართვის საფუძველზე. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, აღნიშნული ვადის შეცვლა, და კომისიის

თავმჯდომარის სახელზე წერილობითი განცხადებით მიმართვისთვის, ნაცვლად 3 კვირისა, 10 კალენდარული დღის ვადის განსაზღვრა.

3. გარდა ამისა, ატესტაციის წესს დანართი 5-ის სახით ახლავს კომისიის აპარატის საშტატო ნუსხით განსაზღვრული პოზიციები, რომლებიც არ ექვემდებარება ატესტაციას. აღნიშნულ დანართში შესატანია შემდეგი ცვლილებები:

- „საფინანსო დეპარტამენტის უფროსის მ.შ.“ ნაცვლად, ჩაიწეროს „საფინანსო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი“;
- „კავშირგაბმულობის სპეციალისტის“ ნაცვლად ჩაიწეროს „ტექნიკოსი“;
- გრაფა „მძღოლი“ შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მძღოლი	7	დამხმარე პერსონალი	საშტატო შრომითი ხელშეკრულება
მძღოლი	1	დამხმარე პერსონალი	არასაშტატო შრომითი ხელშეკრულება

- სიიდან ამოღებულ იქნეს „შავნაბადას რადიო სიხშ/კოშკურასთან დაკავშირებით სატენდერო წინადადების მომზადების კონსულტანტი“ და „სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსი.“

ატესტაციის წესში შესატანი ცვლილებები წარმოდგენილია დანართი N1-ის სახით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის,103-ე, 104-ე, 105-ე მუხლების, ასევე „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში დასაქმებულთა ატესტაციის წესის“ წარმოდგენილი ცვლილება (დანართი N1).

2. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. ხარებავა) დაუყოვნებლივ:

ა) ჩააბაროს კომისიის აპარატში დასაქმებულ ყველა პირს წინამდებარე გადაწყვეტილება დანართების ჩათვლით (კანცელარიის ბეჭდით დამოწმებული ასლები) და უზრუნველყოს აღნიშნული პროცესის დოკუმენტირება ხელმოწერებით დანართი N2-ის შესაბამისად, რითაც დადასტურდება კომისიის აპარატის დასაქმებულთა მიერ ამ გადაწყვეტილების და მისი დანართების მიღება (ჩაბარება).

ბ) უზრუნველყოს ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის გაგზავნა კომისიის აპარატის თითოეული დასაქმებულის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

3. დასაქმებულის მიერ ამ გადაწყვეტილების (დანართების ჩათვლით) ჩაბარებაზე უარი ნიშნავს მიმდინარე ორგანიზაციული ცვლილებების განხორციელების დროს ატესტაციაში მონაწილეობაზე უარს და ჩაითვლება დასაქმებულის მიერ მნიშვნელოვანი დავალების შეუსრულებლობად. შედეგად,

შეუძლებელი გახდება დასაქმებულის შესაბამისობის დადგენა დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან. დასაქმებული, რომელმაც არ გაიარა ატესტაცია, არ იქნება გათვალისწინებული ახალი საშტატო ნუსხის დაკომპლექტების პროცესში.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) გადაწყვეტილების კომისიის ვებგვერდზე www.gncc.ge გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე განახორციელოს კომისიის თავმჯდომარემ (ვ.აბაშიძე).

კომისიის თავმჯდომარე **ვახტანგ აბაშიძე**
კომისიის წევრი **ელისო ასანიძე**
კომისიის წევრი **კახი ბექაური**
კომისიის წევრი **გიორგი ფრუიძე**
კომისიის წევრი **მერაბ ქათამაძე**

<u>დანართი N1</u>

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატში დასაქმებულთა ატესტაციის წესი“

ცვლილება N1

მუხლი 1.
1. „სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატში დასაქმებულთა ატესტაციის წესის“ III თავის „ატესტაციის წესი“, მე-2 მუხლის „ატესტაციის მეთოდოლოგია“, „ე“ პუნქტის „ცხრილი 1: ატესტაციის ეტაპების მაქსიმალური ქულა“ შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

<u>ცხრილი 1: ატესტაციის ეტაპების მაქსიმალური ქულა</u>

პოზიცია	**ატესტაციის პირველი ეტაპის მაქს. ქულა (x)**	**ატესტაციის მეორე ეტაპის მაქს. ქულა (y)**
მენეჯერული პოზიცია	35	50
არამენეჯერული პოზიცია	79 ან 82	40

”

2. „სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატში დასაქმებულთა ატესტაციის წესის“ II თავის, მე-5 მუხლის “გ” პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ. დასაქმებული უფლებამოსილია უარი თქვას ატესტაციის გავლაზე, წინასწარ, ატესტაციის პირველ ეტაპამდე (ტესტირება) 10 კალენდარული დღით ადრე, წერილობითი მოხსენებით, კომისიის თავმჯდომარის სახელზე. უარი ატესტაციაში მონაწილეობაზე ნიშნავს, რომ იგი

უარს აცხადებს დაკავებულ პოზიციასთან ან შესასრულებელ სამუშაოსთან მისი შესაბამისობის დადგენაზე.“

3. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატში დასაქმებულთა ატესტაციის წესის III თავის, მე-3 მუხლის, 3.1 პუნქტის, 3.1.2. „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები, რომლებიც დაინტერესდებიან კომისიაში არამენეჯერულ პოზიციაზე დასაქმების პერსპექტივით (შესაბამისი ვაკანტური პოზიციის არსებობის შემთხვევაში), უფლებამოსილნი არიან ჩააბარონ ზოგადი უნარების ტესტი. აღნიშნულის თაობაზე მათ უნდა მიმართონ კომისიის თავმჯდომარეს წერილობითი განცხადებით ატესტაციის პირველ ეტაპამდე (ტესტირება) 10 კალენდარული დღით ადრე.“

მუხლი 2.

შეიცვალოს სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატში დასაქმებულთა ატესტაციის წესის“ დანართი 5 და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი 5

პოზიციები, რომლებიც არ ექვემდებარება ატესტაციას

თანამდებობა	**რაოდენობა**	**კატეგორია**	**ხელშეკრულების ტიპი**
ადამინისტრაციული დეპარტამენტის დარაჯი	8	დამხმარე პერსონალი	საშტატო შრომითი ხელშეკრულება
ადმინისტრაციული დეპარტამენტის ელექტრიკოსი	1	დამხმარე პერსონალი	საშტატო შრომითი ხელშეკრულება
ადმინისტრაციული დეპარტამენტის სანტექნიკოსი	1	დამხმარე პერსონალი	საშტატო შრომითი ხელშეკრულება
ადმინისტრაციული დეპარტამენტის ტექნიკოსი	1	დამხმარე პერსონალი	საშტატო შრომითი ხელშეკრულება
ადმინისტრაციული დეპარტამენტის მძღოლი	7	დამხმარე პერსონალი	საშტატო შრომითი ხელშეკრულება
ადმინისტრაციული დეპარტამენტის მძღოლი	1	დამხმარე პერსონალი	არასაშტატო შრომითი ხელშეკრულება
ადმინისტრაციული დეპარტამენტის დამლაგებელი	9	დამხმარე პერსონალი	საშტატო შრომითი ხელშეკრულება
ადმინისტრაციული დეპარტამენტის საშვთა ბიუროს ასისტენტი	1	დამხმარე პერსონალი	საშტატო შრომითი ხელშეკრულება
ადმინისტრაციული დეპარტამენტის გათბობა/გაციების	1	დამხმარე პერსონალი	არასაშტატო შრომითი ხელშეკრულება

სისტემების მექანიკოსი			
რეორგანიზაციის კონსულტანტი	1	განსაზღვრული სამუშაოს შესრულება	არასაშტატო შრომითი ხელშეკრულება
რეორგანიზაციის სამართლებრივი კონსულტანტი	1	განსაზღვრული სამუშაოს შესრულება	არასაშტატო შრომითი ხელშეკრულება
საფინანსო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი	1	რეგულარული პოზიცია	საშტატო შრომითი ხელშეკრულება
მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის შტატგარეშე სპეციალისტი	1	რეგულარული პოზიცია	არასაშტატო შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული, რომელსაც არ შესრულებია კომისიის აპარატში დასაქმებიდან 2 წელიწადი და 6 თვე
კომისიის კონსულტანტი	1	განსაზღვრული სამუშაოს შესრულება	არასაშტატო შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებული, რომელსაც არ შესრულებია კომისიის აპარატში დასაქმებიდან 2 წელიწადი და 6 თვე
მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი	1		კანონი „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“
მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანაშემწეები	5		კანონი „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“

“

მუხლი 3.

ა) ეს ცვლილებები მოქმედებს სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატში დასაქმებულთა ატესტაციის წესთან“ ერთად.

ბ) სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატში დასაქმებულთა ატესტაციის წესის“ ყველა სხვა დებულება დარჩეს უცვლელი.

მუხლი 4.

წინამდებარე ცვლილებები ამოქმედდეს კომისიის გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე.

<u>დანართი N2</u>

დამტკიცებულია
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის **2016** წლის _____
N_____გადაწყვეტილებით

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილების მე-**2** პუნქტით
განსაზღვრული კომისიის გადაწყვეტილების (დანართების ჩათვლით) ჩაბარების რეესტრი

N	სახელი, გვარი	თანამდებობა	სტრუქტურული ერთეული	ჩაიბარა (ხელმოწერა)	თარიღი	უარი ჩაბარებაზე (დასაქმებულის ან პასუხისმგებელი პირის აღნიშვნა[1])

[1] თუ დასაქმებული უარს განაცხადებს გადაწყვეტილების ჩაბარებასა და რეესტრში შესაბამის გრაფაში - „უარი ჩაბარებაზე“ - ხელმოწერაზე, ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი რეესტრის გრაფაში „უარი ჩაბარებაზე“ გააკეთებს შესაბამის წერილობით აღნიშვნას („არ ჩაიბარა“) და აღნიშნულის თაობაზე მოახსენებს კომისიის თავმჯდომარეს მოხსენებითი ბარათის სახით.